

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს  
გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი №6

ქალაქი რუსთავი

16 თებერვალი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ნინო ქავთარაძე

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

- |                    |   |  |
|--------------------|---|--|
| მალხაზ კომლაძე     | - | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე  |
| დავით იშხნელი      | - | საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე  |
| გრიგოლ ვეფხვაძე    | - | საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე  |
| გიორგი ჯღარკავა    | - | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე  |
| ნინო ნიკოლავა      | - | მერიის აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი  |
| მაია ბასიაშვილი    | - | მერიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი |
| მამუკა მამაიაშვილი | - | მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის  |

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

- ეკა ხუციშვილი - ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი
- ეკატერინე ჯორჯოშვილი-ნოდია - საკრებულოს აპარატის საოქმო განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
- მადონა ლელაძე - საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი
- ლელა ლუარსაბიშვილი - შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს“ ადმინისტრაციის უფროსი
- იზა ცაგარელი - არასამთავრობო ორგანიზაცია „მტევანის“ ხელმძღვანელი
- ლიანა ჩარკვიანი - არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების“ ქსელის რუსთავის კოორდინატორი

ასევე ესწრებოდნენ:

- იოსებ პირველი - ქვემო ქართლის გუბერნიის წარმომადგენელი
- სოფიო კარანაძე - საქართველოს პარლამენტში რუსთავის სამარიჟოტარო ბიუროს ხელმძღვანელი
- ლია კოშაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „დედების სივრცის“ ხელმძღვანელი

**დღის წესრიგი:**

1. ახალი სატრანსპორტო შეღავათების დაწესების საკითხის განხილვა

2. რუსთავში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივების მოსმენა
3. ქალთა ისტორიისთვის აღსანიშნავი ღონისძიებების განხილვა
4. ინტერმუნიციპალური თანამშრომლების დაგეგმვა
5. მომავალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ საკითხის განხილვა
6. სხვადასხვა.

## საკითხი №1

სხდომის თავმჯდომარემ - **ნინო ქავთარაძემ** სხდომაზე დამსწრეთ გააცნო პირველი საკითხი, რომელიც ეხებოდა ახალი სატრანსპორტო შეღავათების დაწესებას და განმარტა:

**ნინო ქავთარაძე:** „მოგეხსენებათ მუნიციპალური ტრანსპორტის რეფორმა სულ ახლახანს განხორციელდა ქალაქ რუსთავში. შემოვიდა 22 ახალი ავტობუსი და კიდევ უნდა დაემატოს 18. შესაბამისად, 40 ავტობუსი სრულიად განაახლებს იმ ავტოსატრანსპორტო სისტემას, რომელიც ქალაქს ემსახურება. საკრებულოს სხდომაზე დავამტკიცეთ ის შეღავათები, რომლითაც ისარგებლებენ რუსთავის მოქალაქეები. ამგვარ მოქალაქეთა რაოდენობა საკმაოდ მასშტაბურია და მოიცავს 60 ათას ბენეფიციარს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გასახარებელი და მნიშვნელოვანია. გვაქვს ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე კატეგორიის დამატებას შეღავათებით მოსარგებლეთა ნუსხაში. ამ კატეგორიაში ერთიანდებიან ადამიანები, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ამის საჭიროება. ვიმსჯელოთ, რამდენადაც რელევანტურია ეს ინიციატივა ჩვენი ბიუჯეტისთვის და შესაძლებლობებისთვის.“

პირველი კატეგორია გახლავთ მრავალშვილიანი ოჯახები. ჩვენ ვიცით, რომ სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ 10 თეთრიანი შეღავათით. ვიმსჯელოთ, რა ტარიფი შეიძლება შევთავაზოთ მრავალშვილიანთა დედას ან მამას, რომ დამატებით არ დააწვეთ ტვირთად 50 თეთრის გადახდა.

ასევე, მოგეხსენებათ, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტს ხელი აქვს მოწერილი ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპულ ქარტიაზე და გვაქვს აღებული გარკვეული ვალდებულებები, ამ ვალდებულებების ფარგლებში ვფიქრობ კარგი იქნებოდა, რომ ერთ-ერთი ჯგუფი, რომელიც ისარგებლებს შეღავათით, იყოს ძალადობის მსხვერპლნი და მარტოხელა მშობლები. ამ კატეგორიის ადამიანები ნამდვილად საჭიროებენ განსაკუთრებულ მოპყრობას“.

**ლელა ლუარსაბიშვილი:** „როგორც ვიცით, ტრანსპორტმა ახლახანს დაიწყო მუშაობა და ჯერ კიდევ სრულიად უფასოდ მუშაობს, სანამ სისტემა გაიმართება ბოლომდე. ის ამჯერად ვერ ითვლის თავის ფინანსებსაც კი, ანუ რა სახის შემოსავალი ექნება მას, ამიტომ მისი ბიუჯეტი

რა შეღავათის გაკეთებას შეძლებს ამ ეტაპისთვის ვერ გეტყვით. ამჟამად შეღავათი სრულიად კეთდება მერიის სუბსიდირების ხარჯზე. თუკი მერიას ექნება იმის საშუალება, რომ ეს მოწყვლადი ჯგუფები, რომელთა ინიცირებაც ახლა ხდება, დააფინანსოს, ავტოსატრასპორტო საწარმო აბსოლუტურად მიესალმება ამ გადაწყვეტილებას“.

**გიორგი ჯღარკავა:** „ვფიქრობ, უნდა არსებობდეს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები, რაზე დაყრდნობითაც შემდგომში პროგნოზს გააკეთებს მერიაც და ავტოსატრანსპორტო კომპანიაც. ასევე მნიშვნელოვანია, მშობლებიდან ისარგებლებს ერთ, თუ ორივე მათგანი, აგრეთვე სარგებლობის სიხშირეც უნდა განისაზღვროს. ვფიქრობ, ულიმიტო უნდა იყოს დღეში სარგებლობა შეღავათით, რადგან მშობლებს მრავალჯერ მოუწევთ მგზავრობა, თუკი გავითვალისწინებთ მათი შვილების სიმრავლეს“.

**დავით იშხნელი:** „მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ულიმიტო უნდა იყოს მგზავრობა, ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ვფიქრობ, უნდა დაწესდეს ერთი, უსურათო ბარათი, რათა ისარგებლოს ოჯახმა სრულად და არა მხოლოდ ერთმა კონკრეტულმა წევრმა. ამასთანავე, პანდემიის პერიოდში დროებით დაწესდეს შეღავათი სანიტარებისა და ექთნებისთვის. ჩემი პირადი სურვილია, შეღავათებით მოსარგებლეთა კატეგორიას შეძლებისდაგვარად დაემატოს რუსთავის საპატო მოქალაქეები. სულ არსებობდა აზრი, რომ საპატო მოქალაქეობა მხოლოდ წოდებაა და კარგი იქნება თუ ეს ადამიანები ხელშესახებ პატარა შეღავათს მიიღებენ.“.

**იზა ცაგარელი:** „ჩვენი ორგანიზაციის ხელთ არსებულ ბაზაში მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა 318-ია. თუმცა რეალურად უფრო მეტია, დაახლოებით 400-მდე. აბსოლუტურად რელევანტური იქნება, ერთ-ერთ მშობელს დაუწესდეს გარკვეული შეღავათი ტრანსპორტით სარგებლობაზე, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ამ პროგრამამ უნდა მოიცვას ყველა მრავალშვილიანი ოჯახი და არა მხოლოდ სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე, რადგან ისინი უკვე შედიან მოსარგებლეთა სიაში.“

**ეკა ხუციშვილი:** „კარგი იქნებოდა ინიცირებულ კატეგორიებს თუკი დავუმატებდით მარჩენალდაკარგულ ოჯახებს, იმათ, ვისაც არასრულწლოვანი ბავშვები ჰყავთ. თუკი ერთ-ერთი მათგანი სრულწლოვანია ეს სტატუსი, ბუნებრივია, ძალას კარგავს“.

**გრიგოლ ვეფხვაძე:** „მოგეხსენებათ, აღნიშნული რეფორმით შეღავათით სარგებლობს 60 ათასი ბენეფიციარი და შეღავათი გულისხმობს 30-დან 50 თეთრამდე სუბსიდირებას. ჩვენ ეს თანხა რომ გამოვიყენოთ, დაახლოებით გვჭირდება 21 მლნ ლარი. მინდა აღვნიშნო, რომ რაზეც ვიმსჯელებთ, აბსოლუტურად მისაღებია ჩემთვის და ყველაფერს ვეთანხმები. თუმცა ყველა აღნიშნული კატეგორიის დაფინანსება წარმოუდგენელია. მე გთავაზობთ, რომ

ზოგიერთი კატეგორიისთვის, რომლებისთვისაც ყველაზე აუცილებელია შეღავათის დაწესება, ახლავე მივმართოთ მერიას, ხოლო დანარჩენი კატეგორიებისთვის დრო და დრო გამოჩნდება სახსრები“.

**ნინო ქავთარაძე:** „ჩვენს ინიციატივას მივცეთ ერთიანი სახე და გავუზზავნოთ მერიას. მერია გვაცნობებს, რა კატეგორიებს შესთავაზებს შეღავათებს და შესაბამისად გადაწყდება საკითხი. ჩვენ მიერ ინიცირებული კატეგორიებია: მრავალშვილიანი ოჯახები, ძალადობის მსხვერპლნი და მარტოხელა დედები, მარჩენალდაკარგულები და ასევე საპატიო მოქალაქეები. რაც შეეხება სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს, ვფიქრობ, ეს საკითხი უპრიანი იქნება, მომავალში განვიხილოთ სოციალური კომისიის სხდომაზე. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ დავითს ამ ინიციატივის გაჟღერებისთვის“ .

## საკითხი №2

სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო მეორე საკითხი, რომელიც ეხებოდა რუსთავში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივებს და მიმართა სხდომაზე დამსწრე ორგანიზაციების წარმომადგენლებს, გაეცნოთ მათი პროგრამები.

**ლია კოშაძე** (არასამთავრობო ორგანიზაცია „დედების სივრცის“ ხელმძღვანელი): „უკვე 20 წელია ვმუშაობ კომპანიაში, სადაც ძირითადად ქალბატონები არიან დასაქმებული და მათთან მაქვს უშუალო კავშირი. ამიტომ ძალიან კარგად ვიცი მათი ემოციური მდგომარეობა. ასევე, არასრულწლოვნების ემოციური ფონი აბსოლუტურად პირდაპირპროპორციულია ამ ქალბატონების მორალურ მდგომარეობასთან. ჩვენი ორგანიზაციის მიზანია არაფორმალური საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც დედებს გააძლიერებს მენტალურად და დაეხმარება მათ შვილებთან ურთიერთობის გაჯანსაღებაში.

საქართველოში არსებობს პოზიტიური ფსიქოთერაპიის ცენტრი, რომელიც გერმანიის დახმარებით ფუნქციონირებს და ჰყავთ საკმაოდ ძლიერი სპეციალისტები. ჩვენ ერთობლივად გადავწყვიტეთ, გავაკეთოთ პროექტი „სივრცე დედებისთვის“, სადაც ჩართული იქნებიან იურისტები, ფსიქოლოგები, პედაგოგები, პედატრები და ეს სამუშაო ჯგუფი დაეხმარა დედებს მენტალურ გაძლიერებაში. ჩვენ შევთანხმდით იმაზეც, რომ რუსთავში გაიხსნება პოზიტიური ფსიქოთერაპიის ცენტრის ფილიალი. პროექტი დაიწყება 28 თებერვალს. მუნიციპალიტეტს ვთხოვთ შესალებლობის ფარგლებში გამონახოს გარკვეული ფართი, სადაც განთავსდება აღნიშნული ფილიალი. ასევე, პროექტის ფარგლებში პოზიტიური თერაპიის ცენტრი ტრენინგებს ჩაუტარებს იმ ქალბატონებს, რომლებიც დაზარალდნენ პანდემიის დროს ფსიქოლოგიურად. ტრენინგები ჩატარდება მუნიციპალიტეტში მომუშავე ქალბატონებისთვის, ბალის აღსაზრდელების

მშობლებისთვის და ქალაქის წარმატებული ქალბატონებისთვის. თუკი რაიმე ფინანსური დახმარება იქნება ამ ტრენინგების დასაფინანსებლად, მადლობელი ვიქნებით. თანხა არ არის დიდი, ტრენინგები 2 საათიანია და მას ესწრება 25 ადამიანი“.

**ლიანა ჩარკვიანი** („დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების“ ქსელის რუსთავის კოორდინატორი): „26 თებერვალს, სადამოს 5 საათზე მთელი საქართველოს მასშტაბით იკრიბებიან ქალები და გამოდიან სიტყვით. ამ აქციას ეწოდება „ათასი დედის მარში“. ეს იმდენად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომ ამას შესაძლოა მომავალში მოჰყვეს პარლამენტისთვის პეტიციით მიმართვა. აქ ყველაზე ხაზგასამელი ისაა, რომ უნდა გაიზარდოს სოციალური მუშაკების რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით, რადგან ზოგიერთ რეგიონში მათი რაოდენობა არათუ გაზარდეს, არამედ შეამცირეს. ამ სისტემას ნამდვილად სჭირდება გაძლიერება, რათა ბულინგის მსხვერპლნი არ იყვნენ მოზარდები, მითუმეტეს პანდემიის ფონზე, რომელმაც ყველა დათრგუნა ფსიქოლოგიურად. რუსთავში ამ ყოველივეს გავუწევს ორგანიზებას და დიდი სურვილი გვაქვს, შემოგვიერთდეთ.

აგრეთვე, მარტში ვგეგმავთ შეხვედრას, მეცნიერ ქალთა დღესთან დაკავშირებით, შესაძლოა ეს შეხვედრა დაიგეგმოს ონლაინ. მოწვეულია ერთ-ერთი მეცნიერი ქალი და იქნება საინტერესო შეხვედრა. გარდა ამისა, გვსურს მომავალში დავგეგმოთ შეხვედრა უჩვეულო პროფესიის ქალებისთვის და მოგიწვევთ გენდერული საბჭოს წევრებს“.

**იზა ცაგარელი** (არასამთავრობო ორგანიზაცია „მტევანის“ ხელმძღვანელი): „ჩვენი ორგანიზაცია წარმოგიდგენთ დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ინიციატივებს, ანალიზსა და რეკომენდაციებს, თუ როგორ შეუძლია დაგვეხმაროს მუნიციპალიტეტი. აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები მცირეწლოვანი ბავშვების დედების პროდუქტიულობის გაზრდა და მათი ჩართულობის, ინტეგრაციისა და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა. ასევე, ბავშვების დატოვების დამატებითი სივრცის და სერვისის შექმნა. ბენეფიციარებს წარმოადგენენ მცირეწლოვანი და არასრულწლოვანი ბავშვების დედები და რიგ შემთხვევაში მამებიც, ან მეურვეები. არაპირდაპირ სარგებელს მიიღებენ ბავშვები, ხარისხიანი და ჯანსაღი ურთიერთობით მშობლებთან ან აღმზრდელებთან. ჩვენი რეკომენდაციებია:

- გენდერული თანასწორობის საბჭომ დღის წესრიგში დააყენოს აღნიშნული საკითხი პრიორიტეტად;
- მოახდინოს დაინტერესებული მხარეების ინფორმირება და ჩართულობის ხელშეწყობა;
- მოგვაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია მრავალშვილიანი ოჯახებისა და გასართობი ცენტრების რაოდენობის შესახებ;
- ითანამშრომლოს კერძო და არასამთავრობო სექტორთან;
- ხელი შეუწყოს აღნიშნული სივრცეების შექმნას;

- მოახდინოს სწრაფი და ეფექტური კომუნიკაცია“.

### საკითხი №3

სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო მესამე საკითხი, რომელიც ეხებოდა ქალთა ისტორიისთვის აღსანიშნავი ღონისძიებების განხილვას. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტში ქალაქ რუსთავის მაჟორიტარ დეპუტატთან კონსულტაციისა და კომუნიკაციის საფუძველზე მიდის საკმაოდ მნიშვნელოვანი მსჯელობები იმისათვის, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს იდეები და დაგეგმილი პროექტები განვითარდეს და რეალურად განხორციელდეს. მნიშვნელოვანია, რომ ამ ყველაფერმა მიიღოს ღონისძიებების სახე. ეს დგას საბჭოს დღის წესრიგში და ამაზე მუშაობა აქტიურად დაწყებულია.

### საკითხი №4

სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო მეოთხე საკითხი, რომელიც ეხებოდა ინტერმუნციპალური თანამშრომლების დაგეგმვას.

**ნინო ქავთარაძე:** „აქ უნდა აღვნიშნო ის სასარგებლო პროექტები, რომელიც ეხება ბავშვებს, მშობლებს, ყველა ბენეფიციარს, რომელთა სასარგებლოდაც შესაძლოა რამდენიმე მუნიციპალიტეტმა ერთობლივად განახორციელოს პროექტები. მითუმეტეს გარდაბნის მუნიციპალიტეტთან საერთო წამომადგენელი გვყავს პარლამენტში, ამიტომ ეს საფუძველს გვაძლევს, საპილოტედ გარდაბნის მუნიციპალიტეტთან ერთად განვახორციელოთ გარკვეული პროექტები, რომელიც შესაბამისი იქნება ჩვენი ვალდებულებების. უნდა არსებობდეს საერთო ბიუჯეტი ინტერმუნციპალური პროგრამებისთვის. ეს წარმოადგენს საბჭოს ერთ-ერთ პრიორიტეტს“.

**იოსებ პირველი:** „პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობა აბსოლუტურად მისაღებია ქვემო ქართლის გუბერნიისთვის. ამასთანავე, დავეთანხმები ქალბატონ ნინოს, რომ საერთო მაჟორიტარი გარდაბნის მუნიციპალიტეტთან კიდევ უფრო შეგვიწყობს ხელს სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში. გვაქვს ინიციატივა, რომ გავზარდოთ საბჭოში წარმომადგენლობა სხვადასხვა სფეროებიდან, მაგალითად განათლებიდან, ჯანდაცვიდან. ეს ყოველივე გაზრდის ჩვენს და თქვენს მუშაობას გაზრდიდა წარმატების კუთხით და მათაც ექნებოდათ ამომწურავი ინფორმაცია საბჭოს მუშაობის შესახებ. „

### საკითხი №5

სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო მეხუთე საკითხი, რომელიც ეხებოდა მომავალი სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

**ნინო ქავთარაძე:** „ჩვენ დამტკიცებული გვქონდა გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ამასთანავე, კონსულტაცია გავიარეთ რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მუშაობის ფარგლებში გადავწყვიტეთ, დავეხმაროთ სხვა მუნიციპალიტეტებს სამოქმედო გეგმის ერთობლივად შემუშავებაში. ამ პროცესში ჩართულია ინსფასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო. თუკი ვინმეს სურს სამოქმედო გეგმაში შეიტანოს თავიანთი ღონისძიებები, ამის შესახებ გთხოვთ, რომ მოგვაწოდოთ ინფორმაცია. ვფიქრობ, ცალკე სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიების შემუშავებას, ჯობია საერთო სტრატეგიაში გაიწეროს ჩვენი ვალდებულებები“.

**გრიგოლ ვეფხვაძე:** „მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტთან დაკავშირებით ბრძანება უნდა იყოს 1 მარტს. ამ საკითხის განხილვას კომისიების თავმჯდომარეები დაესწრებიან და კარგი იქნება თუ ამ ჯგუფის წევრი იქნება ქალბატონი ნინო, როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე. ამ დროიდან აქტიურად დაიწყება მუშაობა მომავალი წლის ბიუჯეტზე. ამიტომ ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელს მივმართავ, ვისაც რაიმე პროექტისა და იდეის განხორციელება სურს, გთხოვთ, აქტიურად ჩაერთოთ ამ პროცესში, მოგვაწოდოთ თქვენი პროგრამები და პროექტები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში, რათა უფრო ეფექტიანი და შედეგიანი იყოს მომავალში საბჭოს მუშაობა“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**ნინო ქავთარაძე**

საკრებულოს გენდერული თანასწორობის  
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე